ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2018-69/ბ

CMR 180 219 785

„24“ „დეკემბერი“ 2018 წ.

ქ. თბილისი

1.ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, სსიპ "სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო", შემდგომში „შემსყიდველი“, სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელის თეიმურაზ პირველაშვილის სახით, და მეორე მხრივ, ფიზიკური პირი გივი ჯავაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“).

2.ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვის" გამოყოფილი 2018 წლის ასიგნებების ფარგლებში, სამედიცინო განათლებასთან დაკავშირებული მომსახურების (CPV80320000) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 80 (ოთხმოცი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სახის ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები, რაოდენობა, ერთეულის ფასი

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ექიმთა სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარების შედეგად, მაძიებელთა სააპელაციო განაცხადების განხილვა (საექიმო სპეციალობაში – საოჯახო მედიცინა) და აპელაციის შედეგის წერილობით დაფიქსირება. რაოდენობა 2 (ორი) განაცხადი, ერთი სააპელაციო განაცხადის განხილვის ღირებულება – 40 (ორმოცი) ლარი.

4.მომსახურების გაწევის პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. ადგილი:

4.2.1. მომსახურების გაწევა იწარმოებს მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ ქ N144.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების მე-13 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი N1) სამ ეგზემპლარად.

6.ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა–უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის (დანართი N1) საფუძველზე, გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

7.მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად განახორციელოს ხარისხიანი და გარანტირებული მომსახურება „შემსყიდველის“ მოთხოვნების შესაბამისად;

7.1.2 დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.3. უზრუნველყოს, გაწეულ მომსახურებაზე ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან და ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.მხარეთა უფლებები

8.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1 მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

8.2 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის და მოცულობის კონტროლი ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

9.ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი,, ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ.

10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3 ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის გაუქმება არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

11.სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან/და შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაანგარიშებით.

12.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.4. თუ მხარე ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ცალმხრივად, აღნიშნულის შესახებ ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარისთვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

12.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

13.ინსპექტირების პირობები

ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი – სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის სერტიფიცირების სამმართველოს უფროსი მარიამ ბაქრაძე.

14.განსაკუთრებული პირობები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

14.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14.3 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (——— გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14.4 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", მეორე "შემსყიდველთან".

15. მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო" ქ. თბილისი, წერეთლის გამზ №144, სახელმწიფო ხაზინა, ანგN200122900 საიდენტიფიკაციო კოდი 205035120	ფიზიკური პირი: გივი ჯავაშვილი მის.:ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქ.N23 პ/ნ 01025006536 სს „თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგN GE82TB 0600 0000 5317 9332
თეიმურაზ პირველაშვილი **სააგენტოს უფროსის** **მოვალეობის შემსრულებელი**	**გივი ჯავაშვილი** **ფიზიკური პირი**

ვიზები:

ხ.ზალდასტანიშვილი

მ.ბაქრაძე

რ.შონია

ა.ტყეშელაშვილი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

„24“ „დეკემბერი“ 2018 წ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ ფიზიკური პირის გივი ჯავაშვილის მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

თ.პირველაშვილი

ხ.ზალდასტანიშვილი

მ.ბაქრაძე

რ.შონია

ა. ტყეშელაშვილი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთვის“ გამოყოფილი 2018 წლის ასიგნების ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის
მიღება ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი „_____“ „_____“ 2018 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, შემსყიდველი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების **სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თეიმურაზ პირველაშვილი**

და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი:

_____
(ორგანიზაციის სახელი)

_____
(ხელმძღვანელის თანამდებობა: სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ
2018 წ „-----“ „-------“ № „------“ ხელშეკრულების პირობის შესაბამისად, გაწეულია მომსახურება.

_____
(ხელშეკრულების თარიღი და ნომერი)

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს:

_____
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

გაწეული მომსახურების ღირებულებამ

შეადგინა:

_____
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია:

_____

ანაზღაურებულია:

_____
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება მიიღო:
სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მომსახურება ჩააბარა:
ხელმძღვანელი



ოზურგეთის მაგისტრატული დასახლებათშორისი საბჭოს
რეიონის, ეს საბჭ ! ქვეხანყოფილება
27.05.1997
27.05.2017

საქართველოს რესპუბლიკა
ეროვნული მიმართვის მოწმობა
01025006536
ზივი
ჯავაშვილი
15.04.1963
თბილისი
N J0154295